

# დაიჯესტი

---

26 აპრილი – 2 მაისი, 2021

## ამერიკის შეერთებული შტატები

კონგრესში პრეზიდენტის პირველ მიმართვაში, [ბაიდენმა 6 იანვრის მოვლენების შესახებ ისაუბრა და საზოგადოებას მეტი მზაობისკენ მოუწოდა](#). ამავე მიმართვაში ბაიდენმა ხაზი გაუსვა თეთრი სუპრემატიზმის საფრთხეებსა და ტერორიზმის მზარდ ტენდენციებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს.

ზღვის ლომების უმაღლესი სარდლის, უიმან ჰოვარდ III-ის განცხადებით, [დაგეგმილია ზღვის ლომების ინსტიტუციური რეფორმა](#), რომელიც მოწოდებულია შეამციროს ზღვის ლომების როლი ტერორიზმთან ბრძოლაში და ყურადღება გაამახვილოს სახელმწიფოებისგან მომავალ საფრთხეებზე. აღნიშნული რეფორმა ითვალისწინებს დანაყოფების რიცხვის 30 პროცენტით შემცირებას და დანაყოფებში პერსონალის გაზრდას, რაც დანაყოფებს უფრო ეფექტურს გახდიდა. გარდა ამისა, უიმანის თქმით, გამკაცრდება ზღვის ლომებში შერჩევის პროცესიც.

იემენში ამერიკის სპეციალურმა დესპანმა, ტიმოთი ლენდერკინგმა, საუდის არაბეთის წინააღმდეგ [ჰუსიტების იემენში ძალადობრივი ესკალაცია გააკრიტიკა](#) მას შემდეგ, რაც ბაიდენის ადმინისტრაციამ განაცხადება გააკეთა იემენში აშშ-ს პოლიტიკის ცვლილების შესახებ, რომელიც სამხედრო დახმარების შემცირებას გულისხმობს.

აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის განცხადებით, ნიუ-იორკის მკვიდრმა ელვის რედუეპაგიკმა აღიარა, რომ [ფინანსურ დახმარებას უწევდა დაემისა და ალ-ნუსრას ფრონტის ტერორისტებს](#) და სცადა სირიაში ჩასვლა, რათა დაემს შეერთებოდა, რისთვისაც მას 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

## გაერთიანებული სამეფო

აღმოსავლეთ ლონდონში დააკავეს 27 წლის საჰაიბ მუნეი აბუ, რომელმაც ტერორისტული თავდასხმისთვის აღჭურვილობა და ტანსაცმელი შეუკვეთა ონლაინ, ასევე დაემის პროპაგანდისტულ საიტებზე თვეების განმავლობაში ავრცელებდა თავის [ექსტრემისტულ შეხედულებებს](#).

ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციამ [ტერორიზმის აქტის საფუძველზე](#) დააკავა 56 წლის პირი, რომელმაც სავარაუდოდ თებერვალში მანქანაში მჯდომ დენი მაკკლინს რამდენჯერმე ესროლა და მოკლა.

## გერმანია

ფედერალურმა პროკურორებმა დუსელდორფის სასამართლოში [ტაჯიკეთის 5 მოქალაქეს 7 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს](#) ტერორისტულ ორგანიზაცია დაემთან კავშირის ბრალდებით. ისინი გერმანიაში თავდასხმას გეგმავდნენ.

## დანია

ტერორისტული ორგანიზაცია, დაემის, წევრობისა და მისთვის ფინანსური დახმარების ბრალდებით აღმოსავლეთ იუტლანდიის რეგიონში [დანის პოლიციამ 27 აპრილს 6 პირი დააკავა](#). საპატრულო პოლიციის პრესცენტრის განცხადებით აღნიშნული პირები, 27-35 წლის მამაკაცები არიან.

## საფრანგეთი

საფრანგეთის პროკურატურამ საქმე აღძრა ტერორიზმთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც პოლიციის თანამშრომელი ქალი ცივი იარაღით [მოკლეს](#) პარიზის სამხრეთ-დასავლეთით. მას თავს დაესხა ტუნისელი ექსტრემისტი, რომელიც მოკლულია უსაფრთხოების ძალების მიერ. თავდასხმასთან დაკავშირებით დაკავებულია სამი ადამიანი. პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ “საფრანგეთი არასდროს დანებდება ისლამისტურ ტერორიზმს”.

საფრანგეთის პოლიციამ დააკავა შვიდი პირი, [რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ტერორისტულ აქტივობებში](#) ქვეყნის ორ რეგიონში. დაკავებულთაგან 6 ჩეჩენია, ერთი კი ქართველი.

საფრანგეთი [კონტრტერორიზმის ახალ კანონპროექტს განიხილავს](#), რაც ქვეყანაში ბოლო დროს მოჭარბებული ტერორისტული თავდასხმებთან განპირობებული. საფრანგეთის შინაგან

საქმეთა მინისტრის განცხადებით, კანონპროექტი ანტი-ტერორისტული ზომების გამკაცრებასა და კომპიუტერული ალგორითმების გამოყენებით ინტერნეტ მომხმარებლებს შორის პოტენციური ტერორისტული საფრთხის ამოცნობას ისახავს მიზნად.

საფრანგეთში ტერორიზმის ბრალდებით წითელი ბრიგადების ყოფილი წევრები - [იტალიის შვიდი მოქალაქე დააკავეს](#), რომლებიც საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ წლების განმავლობაში ისტორიული 'მიტერანის დოქტრინის' საფუძველზე. [იტალიის პრემიერ მინისტრმა, მარიო დრაგიმ](#), აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოხატა. საგულისხმოა, რომ წითელი ბრიგადები იტალიაში 70-80-იან წლებში მრავალი გატაცებისა და სისასტიკის შემოქმედნი იყვნენ, მათ შორის ყოფილი პრემიერის, ალდო მოროს მკვლელობის.

## უკრაინა

უკრაინის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ეროვნულმა საბჭომ ერთ-ერთი უკრაინული ტელეარხი 4100\$-ით დააჯარიმა [ტერორისტულ ორგანიზაცია "ლუჰანსკის სახალხო რესპუბლიკის"](#) წარმომადგენლისთვის დროის დათმობის გამო გასული წლის დეკემბერში. ტერორიზმთან ბრძოლის კანონის მე-17 მუხლის მიხედვით, იკრძალება ინფორმაციის გავრცელება, რომლის მიზანია ტერორიზმის ხელშეწყობა ან გამართლება.

## მოზამბიკი

გამოცემა *Reuters*-ის განცხადებით, [მოზამბიკის მთავრობა გენერალური პროკურორის ოფისში ახალ კონტრტერორისტულ ერთეულს შექმნის](#). გენერალური პროკურორის თქმით, აღნიშნული ნაბიჯი გადადგმულია გაზრდილი ისლამისტური ტერორიზმის წინააღმდეგ და ითვალისწინებს ტერორისტების უფრო ინტენსიურ სამართლებრივ დევნას.

## ნიგერია

სულ მცირე [31 ნიგერიელი ჯარისკაცი დაიღუპა](#) სამხედრო კოლონაზე დაემთან დაკავშირებული ექსტრემისტების მიერ განხორციელებული თავდასხმისას. ტერორისტებმა მიიტაცეს იარაღი.

წინა კვირაში გრინფილდის უნივერსიტეტიდან გატაცებული 20 სტუდენტიდან [3 მოკლული იპოვეს](#), ხოლო დანარჩენები უნივერსიტეტის მახლობლად მდებარე სოფელში აღმოაჩინეს.

ბორნოს პროვინციის ქალაქ მაინოკში ნიგერიის არმიამ [გაანეიტრალა ბოკო ჰარამის წევრები](#). ოპერაცია 'ლაფია დოლეს' ჯარები მაინოკში 25 აპრილს შევიდნენ ქალაქში ბოკო ჰარამის მიერ განხორციელებული თავდასხმების საპასუხოდ.

ნიგერის პროვინციის გუბერნატორის, აბუბხარ ბელოს განცხადებით, [ბოკო ჰარამის წევრებმა დროშები აღმართეს სოფელ კაურეში](#) და გაიტაცეს სოფლის მკვიდრთა ცოლები. ბელომ აღნიშნა, რომ ვინაიდან კაურე დედაქალაქ აბუჯადან 2 კილომეტრში მდებარეობს, უკვე დედაქალაქის მკვიდრებსაც ემუქრებათ საფრთხე ბოკო ჰარამისგან.

ნიგერიის ადამიანის უფლებადამცველთა [ასოციაცია HURIWA მოუწოდებს ფედერალურ მთავრობას](#) გამოაცხადოს მიეთი ალაჰის მესაქონლეთა ასოციაცია მასთან დაკავშირებული ფრაქციები ტერორისტულ ჯგუფებად.

## მალი

მალისა და საფრანგეთის კონტრტერორისტული დანაყოფების ერთიანი ძალისხმევის შედეგად, 26 აპრილს მავრიტანიის საზღვართან ჩატარებული კონტრტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში, [26 ჯიჰადის მებრძოლის განეიტრალება მოხერხდა](#).

## იემენი

ჰუსიტების დაჯგუფებამ 26 აპრილს თავის თავზე აიღო საუდის არაბეთის სამხრეთ ნაწილში [საკაერო ბაზაზე დრონით თავდასხმა](#).

ჰუსიტების დაჯგუფების მიერ ჩრდილოეთ პროვინციაზე განხორციელებულ თავდასხმებში სულ მცირე [65 ადამიანი დაიღუპა](#). მალრიბი და მის გარშემო არსებული ტერიტორია არის მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის უკანასკნელი ნაწილი ჩრდილოეთში.

იემენის სამთავრობო ძალებმა და [ჰუსიტების ამბოხებულთა ჯგუფმა](#) 21 პატიმარი გაცვალეს მალრიბის პროვინციაში.

## ავღანეთი

სპეციალურმა ძალებმა სამხედრო ოპერაციისას ნანგარჰარში [დაემის მებრძოლები დააკავეს](#). პრესცენტრის განცხადებით დაკავებული ტერორისტები აღმოსავლეთ პროვინციაში მიზნობრივ მკვლევლობებს ახორციელებდნენ.

ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების დირექტორატის უფროსმა, აჰმად სარაჯმა ქაბულში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დაემის 408 წევრია დაჭერილი და ორგანიზაცია ავღანეთში სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება. ასევე თალიბანის მნიშვნელოვანი წევრი, მალავი აჰმად კანადჰარი მოკლეს ყანდარის პროვინციაში ოპერაციისას. აჰმად სარაჯმა ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პაკისტანი ავღანეთს გადასცემს თალიბანის დაკავებულ ლიდერებს, ავღანეთი იფიქრებს [ასლამ ფარუქის პაკისტანისთვის გადაცემაზე](#), თუმცა, ქვეყნებს შორის შეთანხმება ამ დრომდე არ მიღწეულა.

## ერაყი

ერაყის არმიამ გაანადგურა დაემის სამი სამალავი ალ-ანბარში. ასევე პოლიციამ მოსულში დააკავა [სამი ტერორისტი](#). ეს იყო დიდი ოპერაციის ნაწილი, რომელიც მოიცავდა რამდენიმე სოფლის გაჩხრეკასა და 18 სხვადასხვა ზონის დაზვერვას.

სამხედრო დაზვერვის დირექტორატის განცხადებით, 26 აპრილს დააკავეს [დაემის ტერორისტი](#), რომელიც ბაღდადში შეღწევას ცდილობდა.

დაემის სნაიპერმა დაზიანებები მიაყენა სწრაფი რეაქციის [რაზმის 7 წევრს](#), როდესაც ისინი უსაფრთხოების ოპერაციას ახორციელებდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციაში.

დაემის ტერორისტები დიალას პროვინციის ქალაქ ხანაქინის მერს - შაქერ მაჰმუდ თამერს სახლში [თავს დაესხნენ და მოკლეს.](#)

ერაყის არმიამ და სახალხო მობილიზაციის ძალებმა [ცეცხლი გაუხსნეს დაემთან დაკავშირებულ ჯგუფს](#) და ჩაშალეს მათი მცდელობა, მიეღწიათ სოფელ ალბუ ბაქრის საგუშაგოებამდე.

ნინევეს პროვინციაში დააკავეს [დაემის წევრი, მეტსახელად აბუ ისლამი](#), რომელიც პასუხისმგებელია იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მიწოდებაზე დაემის ტერორისტული დანაყოფებისთვის.

ნინევეს ეროვნული უსაფრთხოების რაზმებმა [დააკავეს დაემის 13 წევრი](#) პროვინციის სხვადასხვა ტერიტორიაზე.

დიალას პროვინციაში სწრაფი რექციის ძალების (QRF) [5 წევრი დაიჭრა დაემთან შეტაკებისას.](#) QRF-ის ჯგუფი ჩართული იყო ოპერაციაში სოფელ აბი ხანაზირთან ახლოს, როდესაც დაემის წევრებმა ცეცხლი გაუხსნეს.

ალ-დივანის პროვინციაში გზისპირა ბომბით მიზანში ამოიღეს კოლონა, რომელსაც გადაჰქონდა ლოგისტიკური აღჭურვილობა აშშ-ს წინამძღოლობით [ანტი-დაემის კოალიციის ძალებისთვის.](#) ბომბის აფეთქებამ უმნიშვნელო მატერიალური ზარალი გამოიწვია. იმავე დღეს ასევე ანტი-დაემის კოალიციის წინააღმდეგ მიმართული ორი გზისპირა ბომბი აფეთქდა დჰი ქარის პროვინციაში.

ქურთისტანის მინისტრთა რეგიონალურმა საბჭომ მხარი დაუჭირა კანონპროექტის დამტკიცებას, რომელიც ისეთი ახალი [ანტი-დაემის სასამართლოს](#) შექმნას გულისხმობს, რომელიც სპეციალიზდება დაემის წევრების დევნაში, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული.

## ისრაელი

უსაფრთხოების ძალების განცხადებით ღაზას სექტორის მხრიდან ისრაელის ტერიტორიის მიმართულებით ისროლეს [სამი რაკეტა.](#) ორი რაკეტა შეაჩერა Iron Dome-ის საჰაერო თავდაცვის სისტემამ, ხოლო მესამე ღაზას სექტორის ტერიტორიაზე აფეთქდა.

## სირია

საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერით [სირიის დემოკრატიულმა ძალებმა](#) განახორციელეს დეირ ეზზორის აღმოსავლეთით რბევები და დააპატიმრეს დაემთან დაკავშირებული პირები.

დაეში ალ-მაიადენის უდაბნოს ალ-თაიარათის ტერიტორიაზე [თავს დაესხა ირანის მიერ მხარდაჭერილ მებრძოლებს](#). რეჟიმის ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს ტერორისტებს. შეტაკების შედეგად დაიღუპა სულ მცირე 3 ჯარისკაცი, დაშავდა რამდენიმე.

ჰამას ჩრდილოეთით მდებარე სოფელში [ჯაბჰათ ალ-ნუსრას](#) ტერორისტების მიერ ნაღმის აფეთქებას ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

## რუსეთი

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ იდლიბის [დეესკალაციის ზონაში განლაგებულმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა](#) 34 თავდასხმა განახორციელეს, მათ შორის 15 იდლიბში, 14 ლათაკიაში და 5 ჰამაში.

მოსკოვის მკვიდრს ბრალი წაუყენეს დაემის დაფინანსებისთვის. გამომძიებლების თანახმად, 2015 წლის შემდეგ აღნიშნულმა პირმა [2,700\\$ ოდენობის თანხა გადარიცხა ტერორისტების ანგარიშებზე](#) ისლამური საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით.

## ბურკინა ფასო

ესპანეთის პრემიერ მინისტრის, პედრო სანჩესის განცხადებით, ორი ესპანელი ჟურნალისტი და ირლანდიელი გარემოს დამცველი აქტივისტი ჯიჰადისტების თავდასხმას ემსხვერპლა. [აღნიშნული პირები ბურკინა ფასოში ბრაკონიერობის წინააღმდეგ მიმართულ მისიაში მონაწილეობდნენ](#).



## თურქეთი

თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა ჩრდილოეთ ერაცის ტერიტორიაზე მიმდინარე ახალი ოპერაციისას ქურთისტანის მუშათა პარტიის [31 ტერორისტი](#) გაანეიტრალეს.

თურქეთის სამხრეთ პროვინციაში, ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტი [ჩაბარდა](#) უსაფრთხოების ძალებს.

კონტრ-ტერორისტული ოპერაციისას სამხრეთ აღმოსავლეთ პროვინციაში [დააკავეს 11 ექვმიტანილი](#), მათ შორის ქურთისტანის მუშათა პარტიის მხარდამჭერი სახალხო დემოკრატიული პარტიის წევრები.

თურქეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებით, სანლიურფას პროვინციაში დააკავეს [დაემის წევრობაში ექვმიტანილი 6 პირი](#).

თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა [დააკავეს ქურთისტანის მუშათა პარტიის წევრი](#), რომელიც უკანონოდ ცდილობდა სირიიდან თურქეთში შეღწევას.

## პაკისტანი

28 აპრილს პაკისტანის სამხრეთ რეგიონში, ქალაქ კვეტასთან, [საპატრულო მანქანასთან საგზაო ბომბის აფეთქებას ოფიცრის სიცოცხლე ემსხვერპლა](#). აფეთქების შედეგად მძიმედ დაშავდა 5 პოლიციელი.

## ინდონეზია

ინდონეზიის კონტრტერორიზმის პოლიციამ დააკავა [ისლამის მცველთა ფრონტის ლიდერის ადვოკატი](#), რომელიც ხალხს ტერორისტული აქტების ჩადენისკენ და დაემისთვის ერთგულების შეფიცვისკენ მოუწოდებდა.

## გაერო

გაეროს უშიშროების საბჭომ განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც დაგმო 21 აპრილს პაკისტანში, ქალაქ [ქუეტაში თეჰრიქ-ე-თალიბანის მიერ განხორციელებული თავდასხმა](#), რომელსაც სულ მცირე 5 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და მრავალი დაშავდა.

## ევროკავშირი

28 აპრილს საკანონმდებლო ორგანოს წლიური საბიუჯეტო ანგარიშით ევროპის პარლამენტმა დაადასტურა თავისი ვალდებულება უზრუნველყოს, რომ ევროკავშირის დაფინანსება არ მოხვდეს [ისეთი პირის ან ორგანიზაციის ხელში, რომელიც ტერორიზმთან ან/და რელიგიურ და პოლიტიკურ რადიკალიზაციასთან არიან დაკავშირებულნი](#).

## ტუნისი

ტუნისის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, დააკავეს ორი პირი [ტერორიზმის დამაფინანსებელი ქსელიდან](#), რომელიც ცოტახნით ადრე იქნა აღმოჩენილი.